ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ოთარ გრიგოლიას

2019 წლის ნოემბრიდან 2020 წლის 20 ოქტომბრამდე

გაწეული საქმიანიბის შესახებ

ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად, წარმოგიდგენთ ანგარიშს ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

2017 წლის ნოემბრიდან ვარ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს VI მოწვევის წევრი, ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დღემდე, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრი, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი, გლდანის რაიონის მაჟორიტარი (კენტი მიკრორაიონები).

**ინფორმაცია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში და კომისიების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ.**

2019 წლის ნოემბრიდან დღემდე მონაწილეობა მივიღე ქ.თბილისის საკრებულოს 17 სხდომაში, რომლის დროსაც მიღებული იქნა 134 დადგენილება და 388 განკარგულება, და საკრებულოს 19 ბიუროს სხდომაში. აღნიშნულ სხდომებზე განხილული და მიღებული გადაწყვეტილებები მოიცავდა ისეთ საკითხებს, რომლებიც განხილული იქნა ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე, ასევე სხვა კომისიების სხდომებზეც. როგორც ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წევრმა მონაწილეობა მივიღე ფრაქციის სხდომებში. დავესწარი და მონაწილეობა მივიღე ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის 11 სხდომას, სადაც შევისწავლეთ 16 საკითხი.
2019 წლის 1 ნოემბრიდან 2020 წლის 20 ოქტომბრამდე ჩატარდა ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის 29 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა კომისიის კომპეტენციაში შემავალი სხვადასხვა საკითხები:

**ბიუჯეტი** - განვიხილეთ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის წლიური და 2020 წლის 3 და 6 თვის ბიუჯეტის შესრულება.

ასევე დადგენილების პროექტები:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი.
ქალქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - 1 პროექტი.

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის № 51 - 104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე- 4 პროექტი.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის ბიუჯეტი დავიწყეთ 1 021 400,6 ათასი ლარიდან. ბოლო ცვლილება განპირობებული იყო პანდემიად აღიარებული კორონა ვირუსის -„COVID 19“-ის გავრცელებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტებისათვის საგადასახადო შემოსავლებში მოსალოდნელი დანაკლისის გამო. საგადასახადო შემოსავლების საორიენტაციო საპროგნოზო მაჩვენებელი თბილისისთვის შემცირდა 95 570,5 ათასი ლარით (მათ შორის: ქონების გადასახადი - 25 000,0 ათასი ლარი და დამატებული ღირებულების გადასახადი - 70 570,5 ათასი ლარი). ასევე, შემცირდა სახელმწიფო ბიუჯეტით თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გათვალისწინებული სპეციალური ტრანსფერი 35 000,0 ათასი ლარით. შესაბამისად, ბიუჯეტის მოცულობამ შეადგენა 1 101 648,1 ათას ლარი.

ბიუჯეტში მნიშვნელოვანი პრიორიტეტებია:სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა- განსაზღვრულია 242427.7 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება- 236266.2 ათასი ლარი; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება- განსაზღვრულია- 112824.0 ათასი ლარი; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა -2741.9 ათასი ლარი; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება განსაზღვრულია 38029.7 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 164877.7 ათასი ლარი; განათლების პრიორიტეტი შეადგენს 157965.1 ათას ლარს; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობის პრიორიტეტი შეადგენს 38575.4 ათას ლარს; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება განსაზღვრულია 4711.0 ათასი ლარით.

მნიშვნელოვანი პროექტები:

ქ.თბილისში,ისნის რაიონში, დავითაიას ქუჩის და მთისძირის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი გზის მოწყობის სამუშაოები - 716,206 ლარი

მუხრან მაჭავარიანისა და მარშალ გელოვანის დამაკავშირებელი ახალი გზის მშენებლობა- 11,978,363 ლარი

ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ო.ხიზანიშვილის ქუჩის და ი.ვეკუას ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 4,400,289 ლარი

ქ .თბილისში, ვაკის რაიონში, ილია ჭავჭავაძის გამზირის რეაბილიტაცია- 3,149,023 ლარი

კახეთის გზატკეცილის მე-12 კმ-ის გადასახვევზე მდებარე გზაგამტარის რეაბილიტაცია - 531,211 ლარი

ქ.თბილისში, მარშალ გელოვანისა და მუხრან მაჭავარიანის გამზირებთან მიერთებებზე მაგისტრალური წყალსადენის გადაკვეთის კვანძის მოწყობის სამუშაოები- 9,802,715 ლარი

ქ. თბილისში, მზიურის პარკში მდებარე საბაგირო გზის სადგურის რეკონსტრუქცია-გზების რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა - 1,000,000 ლარი

ქ. თბილისის, მასშტაბით სანიაღვრე/სადრენაჟე და საკანალიზაციო ქსელის მოწყობის და აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები:

ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია -5 200 000 ლარი (მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროზე არსებული პარკების/სკვერების, გამწვანებული სივრცეების რეაბილიტაცია, მოწყობა:

მოსკოვის გამზირზე არსებული შუა ზოლის მოწყობა; ვაჟა-ფშაველას გამზირზე არსებული შუა ზოლის მოწყობა , ტარას შევჩენკოს სახელობის სკვერის რეაბილიტაცია; ილია ჭავჭავაძის გამზ, #23-ის მიმდებარედ არსებული სკვერის მოწყობა, ვარკეთილის დასახლება 3, 1-ლი მიკრო/რაიონში არსებული სკვერის რეაბილიტაცია და სხვა )

სკვერების/პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია:

ქ. თბილისის ტერიტორიაზე არსებულ პარკებში/სკვერებში ჩასატარებელი სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები, ახალი სკვერების/პარკების მოწყობა, დენდროლოგია, ფურნიტურა, ინფრასტრუქტურა, გაყვანილობები, ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები; თემქცის ხევის პირველი ეტაპი, გლდანის პარკი და ვაკის პარკი ჯამში 12000000 ლარი; გარდამავალი პროექტები - ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილის და ევროპის ქუჩის შუა ზოლში არსებული გამწვანებული ტერიტორიის აღდგენა-მოწყობის სამუშაოები 2020 წელს 3 023 112.17 ლარი), ვარკეთილის ხევის პარკის მოწყობის სამუშაოები 433 000 ლარი; ვაკის პარკის რეაბილიტაციის სამუშაოები 1 500 000 ლარი; თემქის ხევის პარკის მოწყობის სამუშაოები 1 000 000 ლარი;

უსაფრთხოების კუნძულების მოწყობა- 90 ცალი

ქვეითთა ამაღლებული გადასავლელები -94; ტროტუარის მოწყობა 200 ადგილზე

საერთო ლამში 1 600 000

შუქნიშნების, კამერების მოწყობა დამონტაჟება და მართვის ცნეტრთან მიერთება 10410700

გუდიაშვილის მოედანზე სარეაბილიტაციო სამუშაოები(სახლები) ანაგი - 2,482,814 ლარი

ახოსპირელის I ჩიხი N2-4, ახოსპირელის III ჩიხი 5/6, გუდიაშვილის მოედანი N4, ლერმონტოვის ქ. N1/9 და ლერმონტოვის ქ. N3 - ში მდებარე შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია- 6,465,786 ლარი

აბო თბილელის ქ. N2, აბო თბილელის ქ. N6 და გუდიაშვილის მოედანი N9 - ში მდებარე შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია 4,559,242 ლარი

საიათნოვას N1 რეაბილიტაცია 2,706,413 ლარი

გუდიაშვილის კეთილმოწყობა 8 579519 ლარი

დარეჯანის სასახლის რეაბილიტაცია 1,167,591 ლარი

დედაენისა და 9 მარტის ბაღების რეაბილიტაცია ღირებულება-17500000 ლ. (სკვერების მოწესრიგება ნახატების, ძველმანების და ანტიკავრული ნივთების ყიდვა-გაყიდვის მიზნით, რეკრეაციული სივრცის გაკეთილშობილება, საფეხმავლო მნიშვნელოვანი კავშირის გაჩენა, თანამედროვე სკეიტპარკის მოწყობა.

დიდ დიღომში სკოლა „ფესვების“ მიმდებარედ მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის მშენებლობა 6 237014 ლარი.

ვარკეთილის მე-3 მ/რ კორპ.319 -ის მიმდებარედ 180-ე საჯარო სკოლასთან მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის მშენებლობა - 5 175 000 ლარი

გარდა ამისა კომისიის მიერ შესწავლილია მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი 36 წერილი -„ქალაქ თბილისის მინიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ასიგნებების ცვლილებების შესახებ“.

**ქონება -**

2019 წლის ნოემბრიდან დღემდე კომისიის მიერ შესწავლილია სსიპ ქონების მართვის სააგენტოდან შემოსული პროექტები, მათ შორის:

- ქალაქ თბილისში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხები.

დაახლოებით 372-მდე ოჯახს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობდნენ და სარგებლობდნენ უძრავი ქონებით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად გადაეცათ შესაბამისი ქონება ( საცხოვრებელი ფართი, საერთო ჯამში დაახლოებით 31326 კვმ).

- ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა, რაც კომისიის მიერ იქნა შესწავლილი არის შემდეგი: „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს ეთხოვა, უზრუნველყოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

მ.შ ერთ ერთი პროექტი იყო: ქ. თბილისში, დიდი დიღომი, IV მიკრო/რაიონი, 29-ე კორპუსის მიმდებარედ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 8613 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.10.07.004.058) ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვისა და შპს „პერსპექტივასათვის“ (ს/კ: 405304950) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ“ და „ქ. თბილისში, დასახლება ზემო ფონიჭალა, კორპუსიN20, ნაკვეთი (37/017)-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ (ჯამში 17 500 კვ.მ.) მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.18.13.037.017) ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის, ფაქტობრივი მოსარგებლეებისა დ აინტერესთა გამოხატვის მოწვევაში გამარჯვებული შპს „პერსპექტივასათვის“ (ს/კ: 405304950) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ”

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.tbilisi.gov.ge) საშუალებით 2019 წლის 1 ივლისიდან 2019 წლის 15 ივლისის ჩათვლით გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ ქ. თბილისში, დიდი დიღომი, IV მიკრო/რაიონი, 29-ე კორპუსის მიმდებარედ (ს.კ. N01.10.07.004.058) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 8613 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მშენებლობა და მათი ნაწილის კოოპერატივების წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ . ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულს წარმოადგენს ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე ერთადერთი კომპანია - შპს „პერსპექტივა“ (ს/კ: 405304950) , რომელმაც ინტერესთა გამოხატვაში წარმოადგინა კოოპერატივის წევრებისათვის ჯამურად გადასაცემი ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) შეთავაზება 6800 კვ.მ-ის ოდენობით, ასევე ქ. თბილისში, დასახლება ზემო ფონიჭალა, კორპუსი N20, ნაკვეთი

(37/017)-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ (ჯამში 17 500 კვ.მ.) მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N01.18.13.037.017) საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა (მინიმალური ფართობი კ2=2.5-ის გათვალისწინებით - 4000 კვ.მ.) და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივების წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვაში ერთადერთი კომპანია, რომელმაც დააკმაყოფილა ინტერესთა გამოხატვის პირობები იყო შპს „პერსპექტივა", მან წარადგინა ქონების მიმღები პირებისთვის ჯამურად გადასაცემი ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) შეთავაზება 4000 კვ.მ-ის ოდენობით.

- ქალაქ თბილისში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით სარგებლობის უფლებით, იჯარით გადაცემის საკითხები. (სერთო ჯამში 34 პროექტი)

მ.შ. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების მოსარგებლეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე"

პანდემიად აღიარებული კორონა ვირუსის -„COVID 19"-ის გავრცელებისა და ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი გამოწვევების გათვალისწინებით, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის საფუძველზე, გამოცემულ იქნა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილება „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ", რომელზეც თანდართული „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების" მე-7 მუხლის თანახმად, შეიზღუდა ეკონომიკური საქმიანობები, გარდა დადგენილებით განსაზღვრული საქმიანობებისა. კორონა ვირუსთან დაკავშირებით ერთ-ერთი პრევენციული ღონისძიება გულისხმობდა დახურულ სივრცეებში მოქალაქეთა ინტენსიური კონცენტრაციისგან თავის არიდებას, მათ შორის, თბილისში არსებული კაფე-ბარების ფუნქციონირების შეჩერების გზით. საბჭოს რეკომენდაციები და დადგენილებით გათვალისწინებული შეზღუდვები აისახა და გავრცელდა თბილისში არსებულ ღია კაფეს ტიპის დაწესებულებებზეც. კერძოდ, მათ საგანგებო მდგომარეობის ვადით აეკრძალათ ფუნქციონირება, რაც დაკავშირებულია შესაბამისი მოიჯარეების ფინანსური მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუარესებასთან. იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტის მთავრობის მიზანს წარმოადგენდა

დედაქალაქში სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა, ასევე, იმისათვის, რათა კიდევ უფრო არ გაუარესებულიყო ზემოაღნიშნული პირების ფინანსური მდგომარეობა, თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სასყიდლით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეების მიმართ განხორციელდეს გარკვეული ხელშემწყობი ღონისძიებები. გამომდინარე აქედან კომისიამ შეისწავლა და დადებითირეკომენდაცია გასცა პროექტებზე

კომისიაზე განვიხილეთ ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიცაა

- „ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ინდუსტრიულ ქალაქს“ (ს/ნ: 404580191) შორის 2019 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nე-482-1-23724 ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“

- თბილისში, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის (ს/კ N01.18.06.018.052) არსეარსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსის“ (ს/ნ 405159340) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე“

- შპს „ბოჟიტორისთვის“ (ს/ნ 405000369) დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე
- შუქრი კაკაურიძისათვის (პ/ნ 01019009108) დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე
- თბილისში, შარტავას ქ. N43 (ს/კ N01.10.13.015.069) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით იბა ,,ოლიმპიური ვარსკვლავის“ (ს/ნ 205176628) და სს ,,ნიუ დეველოპმენტის“ (ს/ნ 405375277) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე.
- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქ. თბილისში, გლდანისა და ვარკეთილის რაიონებში მდებარე შესაბამის მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების თაობაზე“.

პროექტის თანახმად, იგეგმება ინტერსთა გამოხატვაზე მოწვევის გამოცხადდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქ. თბილისში, გლდანისა და ვარკეთილის რაიონებში მდებარე შესაბამის მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი საზოგადოებრივი დანიშნულების

შენობა-ნაგებობების/ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე.ინტერესთა გამოხატვის საგანია ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ უძრავ ქონებაზე საცხოვრებელი შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის განხორციელებადობის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩატარება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავება, გამარჯვებული პირისთვის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, საკუთრების უფლებით გადაცემა და გამარჯვებული პირის მიერ საცხოვრებელი და შესაბამისი საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აშენებულ შენობა-ნაგებობებში საცხოვრებელი ფართების ნაწილის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემის პირობით .

- თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 91,642 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.19.13.004.036) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

170,697 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაეცა, ფედერაციას მულტიფუნქციური საწვრთნელ-გასართობი და სპორტული კომპლექსის მოსაწყობად. სპორტული კომპლექსი, ვარჯიშის და მეცადინეობის შესაძლებლობას მისცემს ნებისმიერ მსურველს. კომპლექსის ბაზაზე მოხდება ავტომობილების მართვის პედაგოგ-ინსტრუქტორთა მომზადება-გადამზადება, მოეწყობა სარბოლო მონაკვეთები. კომპლექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი იქნება სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის საგზაო მოძრაობის საწყისი ცოდნის და უნარ-ჩვევების შეძენა. გარდა ამისა, კომპლექსში გათვალისწინებული იქნება სპეციალური საწვრთნელი პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

**გლდანის რაიონის კენტ მიკრორაიონებში განხორციელებული პროექტების შესახებ.**

ჩემი, როგორც გლდანის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის სამაჟორიტარო ოლქი მოიცავს კენტ მიკრორაინოებს, ბერთუბანს, ივერთუბანს, გიორგიწმინდას და თეთრი ტბის მინდებარე დასახლებას, ამომრჩეველთა რაოდენობა შეადგენს 41000 ადამიანს. მინდა ავღნიშნო, რომ სამაჟორიტარო ოლქში გვაქვს შემოერთებული ტერიტორიები: ბერთუბანი, ივერთუბანი და გიორგიწმინდა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გლდანის რაიონის მაჟორიტარი წევრის ოფისში მოქალაქეთა მიღება მიმდინარეობს ყოველდღიურად 09:00-18:00 საათამდე შაბათ-კვირის გარდა, თუმცა არსებობს სიტუაციები როდესაც უქმე დღეებშიც გვიწევს აქტიურად მუშაობა.

მაჟორიტარის ბიუროს მიერ მიღებულ იქნა 1400-მდე მოქალაქე, ხოლო სატელეფონო კონსულტაცია გაეწია 375- მდე ადამიანს, მაჟორიტარის მიერ შუამდგომლობა გაეწია 651 მოქალაქეს. რაიონში მიმდინარე პროექტების განხორციელების მონიტორინგის

პერიოდში ბიურო მაჟორიტართან ერთად სამუშაოების განხორციელების ადგილზე შეხვდა 460-მდე პირს. შუამდგომლობები განხორციელდა შემდეგ მიმართელებებზე:

- ერთჯერადი მატერიალური დახმარება
- მედიკამენტოზური მკურნალობა
- ინფრასტრუქტურა+ბმა
- ჯანმრთელობის გამოკვლევა
- უფასო სასადილო
- სამედიცინო ოპერაცია
- ბინით დაკმაყოფილება(ფართების დაკანონება)

მინდა ავღნიშნო, რომ მე, როგორც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გლდანის რაიონის მაჟორიტარი წევრი, აქტიურად ვთანამშრომლობ რაიონულ გამგეობასთან. პირადად ვხვდები მოქალაქეებს ოფისს გარეთაც. ჩემს სამაჟრიტარო წარმომადგენლებთან ერთად ვისმენთ მათ პრობლემებს, ვეცნობით მათ მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციას, განვიხილავთ და გადავცემთ შესამამის სტრუქტურულ ორგანოებს რეაგირებისათვის.

რაც შეეხება განხორციელებულ პროექტებს: სულ გლდანის რაიონის ბიუჯეტი შეადგენს 23 მლნ ლარს. მ.შ ინფრასტრუქტურის პროექტებზე განსაზღვრულია 14 მლნ ლარი. მნიშვნელოვანია ისეთი მასშტაბური პროექტები, როგორიცაა გზების მოვლა-შეკეთება, სასმელი წყლით მომარაგება, სკვერების მოწყობა. ერთერთი მნიშვნელოვანი პროექტია, ვეკუა - ხიზანიშვილის ქუჩების რეაბილიტაცია, თავისი მასშტაბით რიგით მესამე კახეთის გზატკეცილისა და ჭავაჭავაძის გამზირის რეაბილიტაციის შემდეგ. შესრულდა შიდაკვარტალური გზების მოხრეშვის და ორმოულ შეკეთების სამუშოები, პროექტებიდან ასევე მნიშვმელოვანია სკვერების მოწყობა,რაზედაც ბიუჯეტიდან დაიხარჯა 250 000 ლარი. სკვერები მოეწყობა შემდეგ მისამართებზე: გლდანი 3 მ/რ კორპ N 85 -ის მიმდებარედ; გლდანი 10 კორპუსის -ის მიმდებარედ; გლდანი, მე -7 მ/რ კორპ N 19 და ახალი რაგბის მოედანთან ჯაბიძის ქუჩაზე. სახურავის saxuravis SesakeTebeli samuSaobebi (wyalsawreti milebi, qanobiani da brtyeli saxuravi) შესრულდა გლდანის 1 მ/რ კორპ 19ა-ში, გლდანის მე-7 მ/რ კორპუსი#4, #20, #20 ,გლდანის მე-3 მ/რ-ის კორპ#17, #23 და #79 ბ-ში, შესრულდა წითელ ხაზებში მოქცეული შიდა წყალკანილზაციის გაყვანილობის შესაკეთებელი სამუშაოები, ასევე მოხდა საერთო სარგებლობის კიბეების აღგენა და სხვა. (დანართი 1-2)

ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობა მნიშვნელოვანია. ერთერთი პრიორიტეტი, ახალგაზრდებისათვის ცხოვრების ჯანსაღი წესის შენარჩუნებაა. ამ მხრივ ქალაქის მერის და ფეხბურთის ფედერაციის დახმარებით მოეწყო უეფას სტანდარტების სტადიონი მე-7 მ/რ-ნში, ყოფილი რადიოქარხნის უკან.

მნიშვნელოვანია ასევე საცხოვრებელი ფართების დაკანონება ოჯახებისათვის , რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ ამ ფართებში. მათ ქალაქის მერისა და საკრებულოს გადაწყვეტილებით სიმბოლურ ფასად გადაეცათ საცხოვრებელი ფართები.

მნიშვნელოვანია ასევე ბერთუბნის დასახლებაში წყაროთუბნის ქუჩის მონაკვეთზე, დრანდის ფარსმან ქველისა და ჯაბიძის ქუჩებზე დაახლოებით 3000 გრძივ მეტრზე წყალარინების ქსელის მოწყობა. მოეწყო ასევე გრუნტის დამჭერი კედლები და რაბილიტირებულია ჩამონგრეული გზა, რისთვისაც რაიონის გამგეობის ბიუჯეტიდან დაიხარჯა 355 910 ლარი.

რაიონის გამგებელთან და დედაქალაქის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსთან ერთად მოეწყო საჯარო შეხვედრა გლდანის პატარა ტბის მიმდებარე ტერიტორიის სარეკრეაიოდ განვითარებოისათვის, რომლესაც უძღვებოდა სამოქალაქო პლატფორმის წევრები და ევროპის საბჭოს ექსპერტები.

გარდა ამისა აქტიურად ვიღებ მონაწილეობას თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლებთან ერთად სხვადასხვა ღონოსძიებებში.

დანართი1

| მისამართი | ობიექტის დასახელება | თანხა |
|---|---|---|
| გლდანის 1 მ/რ, კორპ.14-21 | საზოგადოებრივი სკვერი | **240,277.17** |
| გლდანის მ 5 მ/რ კორპ 18-20 | საზოგადოებრივი სკვერი | **114,480.57** |
| გლდანის 3 მ/რ კორპ N79 „ბ"- ს მიდებარედ | მცირე სკვერი | **14,041.21** |
| გლდანის 5 მკ/რ, კორპ. N13-ის მიმდებარედ; | მცირე სკვერი | **17,996.85** |
| გლდანი 1 მ/რ, კორპ N 1 და N 2-ს შორის | ფიტნეს ტრენაჟორი | **16,213.27** |
| გლდანი 3 მ/რ, კორპ N 86 სკვერთან | ფიტნეს ტრენაჟორი | **5,746.88** |
| გლდანი 5 მ/რ, კორპ N 13-ს სკვერთან | ფიტნეს ტრენაჟორი | **16,332.98** |
| გლდანი 7 მ/რ კორპ N 25-26 | ფიტნეს ტრენაჟორი | **16,426.21** |
| გლდანის მე-7 და მე-8 მ/რაიონებს შორის ყოფილი სავაჭრო ცენტრის შენობის შიდა ეზო | ფილების აღდგენა -გამაგრება | **370,149.99** |
| გლდანის მე-3 მ/რ, კორპ 4-ის,მე- 8 სადარბაზო. | მიმდებარე კიბის მოწყობა | **1,661.81** |

| | | |
|---|---|---|
| გლდანის მე-6 მ/რ, #132 სკოლასა და შპს" GWP"-ის ტერიტორიას შორის | მიმდებარე კიბის მოწყობა | 1,307.50 |
| გლდანის მე-3 მ/რ, კორპ 4-ის,მე- 3 სადარბაზო | მიმდებარე კიბის მოწყობა | 1,181.05 |
| გლდანის მე-3 მ/რ, კორპ 4-ის,მე- 5 სადარბაზო | მიმდებარე კიბის მოწყობა | 1,573.92 |
| გლდანის მე-3 მ/რ, კორპ 4-ის,მე- 6 სადარბაზო | მიმდებარე კიბის მოწყობა | 780.05 |
| გლდანის მე-3 მ/რ, კორპ 4-ის,მე- 7 სადარბაზო. | მიმდებარე კიბის მოწყობა | 2,086.50 |
| გლდანის მე-5 მ/რ კორპ N 8 | სპორტული მოედნის შეკეთება | 7,629.38 |
| გლდანი 3 ა მ/რ კორპ N 21-22 | სპორტული მოედნის შეკეთება | 24,901.00 |
| გლდანის 3 მ/რ კორპ N 14 | სპორტული მოედნის შეკეთება | 31,543.21 |
| გლდანი 1 მ/რ კორპ N 18 | სპორტული მოედნის შეკეთება | 28,729.65 |

დანართი 2

| მისამართი | ობიექტის დასახელება | თანხა |
|---|---|---|
| **ბერთუბნის დასახლება, ხევისპირის ქუჩის დასაწყისი** | **საგზაო, კაპიტალური** | **396,660.45** |
| **გლდანი I მ/რ, კორპ N 13** | **საგზაო, მიმდინარე და ორმოული** | **845.37** |
| **I მ/რ კორ N 2ა-2ბ** | **საგზაო, მიმდინარე და ორმოული** | **62,794.05** |
| **I მ/რ კორ N 17ა** | **საგზაო, მიმდინარე და ორმოული** | **75,116.58** |
| **გლდანი 1 მ/რ კორპ N 17ა** | **საგზაო, მიმდინარე და ორმოული** | **21,749.32** |
| **გლდანის I მ/რ, კორ. 16 -ის მიმდებარედ** | **საგზაო, მიმდინარე და ორმოული** | **2,206.29** |
| **გლდანის I მ/რ, კორ. 4 -ის მიმდებარედ** | **საგზაო, მიმდინარე და ორმოული** | **1,239.76** |
| **ბოჭორიშვილის ქუჩა და გლდანის I მ/რ, კორ. 3 -ის მისასვლელი გზა** | **საგზაო, მიმდინარე და ორმოული** | **2,012.96** |
| **გლდანის I მ/რ, კორ. 2, სად. 2 და 3 -ის მიმდებარედ** | **საგზაო, მიმდინარე და ორმოული** | **1,075.01** |
| **გლდანის I მ/რ, კორ. 2 და 8 -ს შორის** | **საგზაო, მიმდინარე და ორმოული** | **289.97** |

| | | |
|---|---|---|
| **გლდანის I მ/რ, კორ. 17 -ის მიმდებარედ** | **საგზაო, მიმდინარე და ორმოული** | **416.49** |
| **გლდანის I მ/რ, კორ. 14 -ის მიმდებარედ** | **საგზაო, მიმდინარე და ორმოული** | **1,399.43** |
| **გლდანი 1 მ/რ, კორპ N 3ბ-სმიმდებარედ** | **საგზაო, მიმდინარე და ორმოული** | **26,753.27** |
| **ჯაბიძის ქუჩა 5 მ/რ კორპ N 11 მიმდებარედ** | **საგზაო, მიმდინარე და ორმოული** | **10,479.83** |
| გლდანის ციხეების მიმდებარედ | **საგზაო, მიმდინარე და ორმოული** | **12832.07** |
| **გლდანის III მ/რ კორპN 1 და N 4 შორის** | **საგზაო, მიმდინარე და ორმოული** | **60.62** |
| **გლდანის III მ/რ კორპN 4 -ის მიმდებარედ** | **საგზაო, მიმდინარე და ორმოული** | **12,172.49** |